ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N34

2025 წლის 30 აპრილი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: **დავით გოგსაძე**

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების მიმოხილვა

საშემოსავლო ნაწილი

(ათას ლარებში)

შემოსულობები შესრულებულია 79%-ით. გეგმიური 5667,4 ათ. ლარი, შემოსულია 4481,8 ათ.ლარი.

მათ შორის:

1. **შემოსავლები** შესრულებულია 80 %-ით. გეგმიური 5627,4 ათ. ლარი, შემოსულია 4478,4 ათ.ლარი. აქედან:

გადასახადები შესრულებულია 67 % -ით. გეგმიური 4644,5 ათ. ლარი, შემოსულია 3099,7 ათ.ლარი.

მათ შორის:

- ✓ გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე შესრულებულია 66 %. გეგმიური 4644,5 ათ.ლარი, შემოსავალი არის 3043,2 ათ ლარი. (დამატებითი ღირებულების გადასახადი).

გრანტი ცენტრალური ბიუჯეტიდან შესრულებულია 178 %-ით. გეგმიური 719,8 ათ. ლარიდან, ათვისებულია 1283,4 ათ. ლარი. აქედან:

1. **სხვა შემოსავლები** შესრულებულია 36 %-ით. გეგმიური 263,0 ათ. ლარი, შემოსულია 95,2 ათ. ლარი. მათ შორის:
   - ✓ **შემოსავლები საკუთრებიდან** შესრულებულია 30 %-ით. ნაცვლად გეგმიური 130,0 ათ. ლარისა, შემოსულია 39,6 ათ. ლარი. მათ შორის:
     - ➢ პროცენტები შემოსულია 9,9 ათ,ლარი;
     - ➢ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 24,8 ათ, ლარი;
     - ➢ შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსულია 4,9 ათ, ლარი;
   - ✓ შემოსავლები **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** შესრულებულია 49 %-ით. ნაცვლად გეგმიური 58,0 ათ. ლარისა, შემოსულია 28,2 ათ. ლარი. მათ შორის:
     - ➢ ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადელები შემოსულია 22,7 ათ. ლარი;
     - ➢ არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები (იჯარა, ქირავნობა) შემოსულია 5,5 ათ. ლარი;
   - ✓ **სანქციები, ჯარიმები და საურავები** შესრულებულია 45 %-ით. გეგმიური 60,0 ათ. ლარისა, შემოსულია 27,2 ათ. ლარი. მათ შორის:
     - ➢ „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში“ შემოსულია 1,5 ლარი;
     - ➢ „საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო“ შემოსულია 20,0 ათ. ლარი;

- „სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული სამართალდარღვევეის გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობასა და კავშირგაბმულობის დარგში“ შემოსულია 1,3 ათ. ლარი;
- „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო“ შემოსულია 2,1 ათ. ლარი;
- „შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმყოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო“ შემოსულია 2,3 ათ. ლარი;

  - ✓ **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** ნაცვლად გეგმიური 15,0 ათ. ლარისა, შემოსულია შემოსულია 269 ლარი.

    - „შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან“ შემოსულია 269 ლარი;

2. **არაფინანსური აქტივების კლება** შესრულებულია 9 %-ით. ნაცვლად გეგმიური 40,0 ათ. ლარისა, შემოსულია 3,4 ათ. ლარი.
   - „შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სხვა მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან“ შემოსულია 1,8 ათ. ლარი;
   - „შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან“ შემოსულია 1,6 ათ. ლარი;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა შესრულებულია 79%-ით. გეგმა 6020,0 ათ ლარი, ფაქტიური შესრულება 4729,6 ათ.ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 79 %-ით. გეგმიური 5016,1 ათ.ლარი, შესრულება შეადგენს 3956,5ათ.ლარს.

მათ შორის:

დასახელება	გეგმა	ხარჯი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	1020,0	983,4	96
საქონელი და მომსახურება	891,7	667,6	75
პროცენტი			
სუბსიდია	2592,8	2046,3	79
სოციალური უზრუნველყოფა	349,1	200,0	57
სხვა ხარჯები	162,5	59,1	36
არაფინანსური აქტივების ზრდა	1003,9	773,0	77

პრიორიტეტი - 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
სულ შესრულებულია 87 %-ით. გეგმიური 1450,7 ათ.ლარი, ათვისებულია 1266,0 ათ. ლარი.

პროგრამები:

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
სულ შესრულებულია 88 %-ით. გეგმიური 1437,0 ათ.ლარი, ათვისებულია 1266,0 ათ. ლარი.
მათ შორის:

- **01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულო**

სულ შესრულებულია 81%-ით. გეგმიური 363,0 ათ.ლარი, ათვისებულია 294,1 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია 86%-ით. გეგმიური 343,0 ათ.ლარი, ათვისებულია 294,1 ათ. ლარი.

- **01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია**

სულ შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 1074,0 ათ.ლარი, ათვისებულია 971,9 ათ. ლარი.
ხარჯები ათვისებულია 92 %–ით. გეგმიური 1032,2 ათ. ლარი, ათვისებულია 952,5 ათ. ლარი.

- **01 02 01 სარეზერვო ფონდი** გეგმა 15,0 ათ. ლარი. ათვისებულია 1,2 ათ. ლარი:

1. "ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა“-ში მოხდა 601.54 ლარის გადატანა ბენეფიციარისათვის მედიკამენტების დასაფინანსებლად;
2. „ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურეობაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“-ში მოხდა 650.0 ლარის გადატანა ბენეფიციარის კვლევების დასაფინანსებლად.

პრიორიტეტი - 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება სულ შესრულებულია 72 %-ით. გეგმიური 1744,7 ათ.ლარი, ათვისებულია 1250,6 ათ. ლარი.

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
სულ შესრულებულია 61 %-ით. გეგმიური 352,4 ათ.ლარი, ათვისებულია 214,2 ათ. ლარი.
აქედან:

- **02 01 01 გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება** შესრულებულია 57 %-ით. გეგმიური 290,0 ათ.ლარი, ათვისებულია 164,7 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის გზების თოვლწმენდის სამუშაოები.

- **02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება** შესრულებულია 79 %-ით. გეგმიური 62,4 ათ.ლარი, ათვისებულია 49,5 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფელ ზნაკვაში სასოფლო გზების რეაბილიტაციის პირველი რიგის სამუშაოების ანაზღაურება (ავანსი) და სოფ. აბარის ადგილობრივი დანიშნულების გზის რეაბილიტაცის პირველი რიგის სამუშაოების ანაზღაურება (ავანსი).

02 02 წყლის სისტემების განვითარება
სულშესრულებულია 79 %-ით. გეგმიური 212,0 ათ.ლარი, ათვისებულია 168,1 ათ. ლარი.
აქედან:

- **02 02 01 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** შესრულებულია 81 %-ით. გეგმიური 208,1 ათ.ლარი, ათვისებულია 168,1 ათ. ლარი. მათ შორის:

- **02 02 01 01 წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი** შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 40,0 ათ.ლარი, ათვისებულია 36,4 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში ფინანსდება წყლის სატუმბი სისტემების მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის ხარჯი.

- **02 02 01 02 წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა** შესრულებულია 78 %-ით. გეგმიური 168,1 ათ.ლარი, ათვისებულია 131,6 ათ. ლარი.

  პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ მუნიციპალური წყალმომარაგების მოვლა-შენახვის ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციაა მუნიციპალიტეტის სოფლებში უკვე არსებული წყლის ცენტრალური მაგისტრალების წერტილოვანი შეკეთება. საანაგარიშო პერიოდში თითქმის ყოველდღიურად ახორციელებდა სამსახური სხვადასხვა სოფლებში წყალსადენის ქსელის აღდგენით სამუშაოებს. პეროდულად ა(ა)იპ ახდენს წყლის მაგისტრალების შემოვლა-შემოწმებას. საანაგრიშო პერიოდში მოხდა 64 დაზიანების აღდგენა.

- **02 02 02 წყლის სისტემების რეაბილიტაცია** შესრულებულია 0 %-ით. გეგმიური 3,9 ათ.ლარი.

  განმარტება: საანგარიშო პერიოდში კლიმატური პირობების გამო პროგრამის ფარგლებში პროექტი არ განხორციელებულა.

02 03 „გარე განათება“ სულ შესრულებულია 42 %-ით. გეგმიური 326,0 ათ.ლარი, ათვისებულია 136,6 ათ. ლარი.
მათ შორის:
02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია შესრულებულია 42 %-ით. გეგმიური 326,0 ათ.ლარი, ათვისებულია 136,6 ათ. ლარი.

მათ შორის:

- **02 03 01 01 გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება** შესრულებულია 75 %-ით. გეგმიური 150,0 ათ.ლარი, ათვისებულია 112,6 ათ. ლარი.

- **02 03 01 02 გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა** შესრულებულია 14 %-ით. გეგმიური 176,0 ათ.ლარი, ათვისებულია 24,0 ათ. ლარი.

  პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულია 7971 ერთეული სანათი წერტილი, მათ შორის ქალაქში 1680 და სოფლებში და გზატკეცილებზე 6291 ერთეული. გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის სამსახური ახდენს მწყობრიდან გამოსული სანათი მოწყობილობების შეცვლას; ამორტიზებული და დაზიანებული ელ.ბოძების ახლით ჩანაცვლებას; დაზიანებული ელ.სადენების შეცვლას.

  საანგარიშო პერიოდში შეიცვალა და ახლით ჩანაცვლდა შემდეგი სახის მოწყობილობები და მასალები: ნათურა სხვადასხვა 373 ცალი, სანათი მოწყობილობები 205 ცალი, პროჟექტორი 8 ცალი ,ახლით შეიცვალა 1655 მეტრი ელ.სადენი, შეიცვალა სხვადასხვა

ჩამრთველები 35 ცალი,ფოტორელე 15 ცალი.ახლით შეიცვალა 9 ელ.ბოძი და შეკეთდა12 ცალი დაზიანებული ბოძი.

- **02 04 „სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია“** შესრულებულია 88 %-ით. გეგმიური 415,7 ათ. ლარი. ათვისებულია 367,3 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში დასრულდა მდინარე რიცეულაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები. სოფ. ჟოშხაში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;

- **02 06 „კეთილმოწყობის ღონისძიებები“** შესრულებულია 81 %-ით. გეგმიური 22,8 ათ. ლარი, ათვისებულია 18,5 ათ. ლარი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა: 1. საჭიდაო კლუბი ,,ფალავანს'' დარბაზის ელ. მრიცხველის (10-30კვტ-მდე) სიმძლავრის გაზრდის მიერთების საფასური; 2. ამბროლაურის საბავშვო ბაღის შენობისათვის (40-50 მმ) სიმძლავრის წყლის მრიცხველის ქსელის მიერთების საფასური; 3. მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის შენობის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები.

- **02 08 „სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია“** შესრულებულია 0 %-ით. გეგმიური 10,0 ათ. ლარი, ათვისებულია 0 ათ. ლარი.

  განმარტება: საანგარიშო პერიოდში კლიმატური პირობების გამო პროგრამის ფარგლებში პროექტი არ განხორციელებულა.

- **02 09 რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექინკური ზედამხედველობის დაფინანსება** შესრულებულია 75 %-ით. გეგმიური 130,0 ათ.ლარი, ათვისებულია 97,7 ათ. ლარი.

- **02 10 „სატრანსპორტო მომსახურება“** შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 272,0 ათ.ლარი, ათვისებულია 244,3 ათ. ლარი.

  პროგრამიდან ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

- **02 11 „სამოქალაქო ბიუჯეტირება“** შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 3,8 ათ.ლარი, ათვისებულია 3,8 ათ. ლარი.

  პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სოფ. ხვანჭკარაში ტყეშელაშვილების უბანში ღელეზე ნაპირსამაგრის (რკ.ბეტონის) მოწყობის სამუშაოები;

პრიორიტეტი - 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა შესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 591,2 ათ.ლარი, ათვისებულია 492,6 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა** შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 496,7 ათ.ლარი, ათვისებულია 444,9 ათ. ლარი.

  პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, რომელიც საანგარიშო პერიოდში ინტენსიურად ახორციელებდა ქალაქის ქუჩების (71150 მ^2), ტროტუარების (15985 მ^2), გაზონებისა (6555მ^2) და სკვერების (19293 მ^2)

დასუფთავებას; ასევე სუფთავდება ქალაქის ორი საზოგადოებრივი საპირფარეშო ყოველდღიურად. ქალაქ ამბროლაურის გარდა მუნიციპლაიტეტის 3 სოფელში (წესი, ნიკორწმინდა, ჭრებალო) ხორციელდება ცენტრალური მოედნებისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების დასუფთავება. ნაგვის შეგროვებისა და გატანის მიზნით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულია 781 კონტეინერი, მათ შორის ქ. ამბროლაურში 178 ც. და სოფლებში 603 ც. კონტეინერი. ქ. ამბროლაურში კონტეინერების დაცლა ხდება ყოველდღიურად, ხოლო სოფლებში კვირაში 4–ჯერ, ზაფხულის პერიოდში კი კვირაში 6–ჯერ. საანგარიშო პერიოდში შეგროვებულია და ნაგავსაყრელზე გატანილია დაახლოებით 5128$მ^3$ საყოფაცხოვრებო ნარჩენი. სამსახურმა საანგარიშო პერიოდში შეიძინა 40 ცალი ნაგვის ბუნკერი და მცირეგაბარიტიანი 2 ცალი თოვლმწმენდი ტექნიკა, რომელმაც გაადვილა ტროტუარების თოვლწმენდის სამუშაოები.

- **03 02 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება** შესრულებულია 96 %-ით. გეგმიური 49,5 ათ.ლარი, ათვისებულია 47,7 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური, რომელმაც საანაგრიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი სახის სამუშაოები: შემოიბარა ქალაქის ტერიტორიაზე ნერგები და მოხდა სასუქის მიცემა. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1595 ჰა ტყის მასივების დაცვითი სამუშაოები.

03 04 "უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები" შესრულებულია 0 %-ით. გეგმიური 5,0 ათ. ლარი. ათვისებულია 0 ათ. ლარი.

პრიორიტეტი - 04 00 განათლება შესრულებულია 90 %-ით. გეგმიური 734,2 ათ.ლარი, ათვისებულია 658,1 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა** შესრულებულია 89 %-ით. გეგმიური 549,2 ათ.ლარი, ათვისებულია 488,1 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი; ამბროლაურის საბავშვო ბაღშია 6 ასაკობრივი ჯგუფი. დანარჩენი საბავშვო ბაღები დაკომპლექტებულია შერეული ჯგუფებით; საბავშვო ბაღებში 2025 წლის იანვარში დარეგისტრირებულია 291 აღსაზრდელი. ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება აქტიურად არის ჩართული საბავშვო ბაღების ავტორიზაციის პროცესში. საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროგრამა მიმდინარეობს განათლების სამინისტროს მხარდაჭერით მომზადებულ 2-5 წლამდე და სასკოლო მზაობის ასაკის ბავშვის განვითარების სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით, ადრეული განათლების კურიკულუმი-თამაში 1, 2 და სასკოლო მზაობის პროგრამით. რომლის მიზანია შემოქმედებითი უნარების განვითარება, კრიტიკული აზროვნების განვითარება, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება. საბავშვო ბაღების ჯგუფების ფიზიკური გარემო საუკეთესო საშუალებაა ბავშვებისათვის მრავალფეროვანი გამოცდილების შესათავაზებლად, ყველა საბავშვო ბაღში გაზაფხულის დადგომასთან ერთად ჩატარდა დედის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები.

04 03 განათლების ღონისძიებები შესრულებულია 0 %-ით. გეგმიური 5.0 ათ. ლარი, ათვისებულია 0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები განათლების სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას; მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 65001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურებას; კულტურულ-გამაჯანსაღებელ საზაფხულო ბანაკში დასვენებას. ასევე ხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების დაფინანსება.

04 04 ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ბიუჯეტი შესრულებულია 89 %-ით. გეგმიური 79,8 ათ.ლარი, ათვისებულია 71,4 ათ. ლარი.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების წრეები: - გერმანული ენის, ინგლისური ენისა და რუსული ენის შემსწავლელი წრეები; ზოგადი უნარების შემსწავლელი წრე, „გახანგრძლივებული“ წრის 2 ჯგუფი. სასწავლო წრეებში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 85-ს. დაწესებულებამ წარმატებით განახორციელა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება „მოაზროვნე“;

- **04 05 საჯარო სკოლების ხელშეწყობა** შესრულებულია 98 %-ით. გეგმიური 100,2 ათ.ლარი, ათვისებულია 98,6 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთადაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მომსახურების შესყიდვა (2024 წლის 06 დეკემბრის # 322 ხელშეკრულება). პროგრამაში ჩართულია 16 სკოლის 281 მოსწავლე. მომსახურება ხორციელდება 108 მარშრუტზე 31 სატრანსპორტო საშუალებით.

პრიორიტეტი - 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი შესრულებულია 79 %-ით. გეგმიური 1025,4 ათ.ლარი, ათვისებულია 806,3 ათ. ლარი.

პროგრამები:

05 01 სპორტის სფეროს განვითარება. შესრულებულია 74 %-ით. გეგმიური 469,3 ათ.ლარი, ათვისებულია 345,5 ათ. ლარი.

აქედან :

05 01 01 სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა შესრულებულია 74 %-ით. გეგმიური 469,3 ათ.ლარი, ათვისებულია 345,5 ათ. ლარი.

- **05 01 01 01 ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა** შესრულებულია 71 %-ით. გეგმიური 174,1 ათ.ლარი, ათვისებულია 123,9 ათ. ლარი.

სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტის სახეობები:

- ✓ კალათბურთი;
- ✓ ფრენბურთი;

- ✓ ჭადრაკი;
- ✓ მაგიდის ჩოგბურთი;
- ✓ კარატე;
- ✓ ჩოხიანი ჭიდაობა;
- ✓ მშვილდოსნობა;

საანგარიშო პერიოდში ქ. ვილნიუსში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის მონაწილეობა მიიღო სასპორტო სკოლის მოსწავლემ მოიპოვა ვერცხლის მედალი და დასახელდა ტურნირის საუკეთესო მებრძოლად;

ქ. თბილისში ჩატარებულ ევრაზიის თასის გათამაშება „კუნგფუში“ სპორტ სკოლის გუნდმა დაიკავა ხუთი პირველი ადგილი და ოთხი მეორე ადგილი; ქ. ზუგდიდში ჩატარებულ საქართველოს პირველობაზე კუდოში სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს 3 პირველი ადგილი, 2 მეორე ადგილი და 3 მესამე ადგილი.

- **05 01 01 02 ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“-ს ბიუჯეტი** შესრულებულია 78 %-ით. გეგმიური 90,5 ათ.ლარი, ათვისებულია 71,0 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში ჭიდაობის კლუბი ფალავანის სპორტსმენები აქტიურად და წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებში. კერძოდ:

- საქართველოს პირველობა - 5 მედალი:
  - ✓ I ადგილი - 3 მედალი
  - ✓ III ადგილი - 2 მედალი;

- ცოტნე ბარამიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. ქ. გორი - 2 მედალი:
  - ✓ II ადგილი - 1 მედალი
  - ✓ III ადგილი - 1 მედალი;

- სარეიტინგო ტურნირი დიდები. ხორვატია. ქ. ზაგრები - 2 მედალი:
  - ✓ III ადგილი - 2 მედალი

- სარეიტინგო ტურნირი დიდები. ალბანეთი. ქ. ტირანა - 1 მედალი:
  - ✓ II ადგილი - 1 მედალი

- საერთაშორისო ტურნირი. ირანი. ქ. შაჰრინი - 2 მედალი:
  - ✓ II ადგილი - 1 მედალი
  - ✓ III ადგილი - 1 მედალი;
- საერთაშორისო ტურნირი. ესტონეთი. ქ. ტალინი - 1 მედალი:
  - ✓ II ადგილი - 1 მედალი.

- **05 01 01 03 ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი** შესრულებულია 81 %-ით. გეგმიური 62,7 ათ.ლარი, ათვისებულია 51,0 ათ. ლარი.

  საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საცურაო აუზში მიმდინარეობდა სანიტარული და სარემონტო სამუშაოები, შესაბამისად მოქალაქეებს არ შეეძლოთ აუზით სარგებლობა.

- **05 01 01 04 ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა“-ს ბიუჯეტი** შესრულებულია 79%-ით. გეგმიური 76,9 ათ.ლარი, ათვისებულია 60,9 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების საწვრთნელი პროცესები, შეირჩა ჩემპიონატში გამსვლელი ასაკობრივი გუნდები, დაკომპლექტდა ასაკობრივი ნაკრებები. აქტიურად მიმდინარეობდა სოფელ ჭრებალოში საწვრთნელი პროცესები, გაზრდილია ბავშვთა რაოდენობა. ვარჯიშები განაახლა დინამოს აკადემიის მემორანდუმის ფარგლებში მომუშავე ასაკობრივმა გუნდმა, რომელიც აკადემიის პროგრამით გადის საწვრთნელ ვარჯიშებს. ასაკობრივმა გუნდებმა გამართეს 7 წინა სასეზონო ამხანაგური შეხვედრები.

- **05 01 01 05 ა(ა)იპ რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“** გეგმა შესრულებულია 60 %-ით. გეგმიური 65,0 ათ.ლარი, ათვისებულია 38,7 ათ. ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები. გამოყოფილი თანხა ხმარდება რეგიონში ბავშვთა რაგბის განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში სპორტმენები ინტენსიურად გადიოდნენ საწვრთნელ პროცესებს და მონაწილეობა მიიღეს შემდეგი ღონისძიებებში :

1. 2025 წლის იანვარი - ჭიათურა ს.რ.კ ეგიდით ჩატარებული U -17 საქართველოს ჩემპიონატი. მონაწილეობდა 18 სპორტსმენი.
2. 2025 წლის თებერვალი - ბათუმი ს.რ.კ ეგიდით ჩატარებული U -17 საქართველოს ჩემპიონატი. მონაწილეობდა 15 სპორტსმენი.
3. 2025 წლის თებერვალი - ქუთაისი ს.რ.კ ეგიდით ჩატარებული U -17 საქართველოს ჩემპიონატი. მონაწილეობდა 15 სპორტსმენი.
4. 2025 წლის მარტი - წყალტუბო ს.რ.კ ეგიდით ჩატარებული U -17 საქართველოს ჩემპიონატი. მონაწილეობდა 15 სპორტსმენი.
5. 2025 წლის მარტი - ქობულეთი ს.რ.კ ეგიდით ჩატარებული U -17 საქართველოს ჩემპიონატი. მონაწილეობდა 15 სპორტსმენი.

05 02 კულტურის სფეროს განვითარება შესრულებულია 83 %-ით. გეგმიური 539,0 ათ.ლარი, ათვისებულია 448,8 ათ. ლარი.

აქედან:

05 02 01 კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა ბიუჯეტი შესრულებულია 89 %-ით. გეგმიური 446,2 ათ.ლარი, ათვისებულია 395,1 ათ. ლარი.

- **0502 01 01 ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრის** ბიუჯეტი შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 313,5 ათ.ლარი, ათვისებულია 285,6 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა და მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში:

- ✓ მუსიკალური ჯგუფი ,,რაეო“-ს სოლო კონცერტი.
- ✓ 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ყველა სიკეთის დედაა ქალი’’.
- ✓ თოჯინების თეატრი პრემიერა „სამი მეგობარი“.

საბიბლიოთეკო სამსახურმა გასა წერილობითი და ზეპირი ცნობები:

1. უკრაინის ისტორია.
2. საქართველოს ღირსეული მამულიშვილები.
3. სასულიერო პირები ძველ საქართველოში.

4. ლეგენდები ხვამლის მთაზე.

ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

1. საჯარო ლექცია ,,ვეფხისტყაოსანი“ (ლიტ. კლუბის ხელმძღვანელი ჯანო გაგოშიძე).
2. წიგნების პრეზენტაცია.
3. შემეცნებითი ღონისძიება ,,ავიმაღლოთ ინტელექტი“.

საბავშვო ბიბლიოთეკამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

1. საახალწლო ღონისძიება - მშვიდობა შენდა - მიწავ ქართულო.“
2. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე.
3. დავით აღმაშენებლის ხსენების დღე - ,,დავითმა ისევე შექმნა საქართველო, ვითარცა ღმერთმა სამყარო“
4. გაზაფხული, დედის დღე და 8 მარტი - დალოცვილი ბუნების მე ვარ გამოღვიძება.“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურმა განახორციელა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, ეკლესია - მონასტრების საეკლესიო ნივთების, ისტორიული დოკუმენტების მოძიება, ფიქსაცია. რომლებიც დაცულია სხვადასხვა სამუზეუმო ფონდებში.

- **05 02 01 02 ა(ა)იპ ამბროლაურის ამბროლაურის სკოლის გარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლის ბიუჯეტი** შესრულებულია 93 %-ით. გეგმიური 58,7 ათ.ლარი, ათვისებულია 54,6 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდში სახელოვნებო სკოლა ახორციელებდა და ჩართული იყო სხვადასხვა ღონისძიებებში. სკოლაში ირიცხება 380-მდე მოსწავლე. სკოლა ემზადება საზღვარგარეთ ერევნის ფესტივალის „მეგობრობის ხიდი“მონაწილეობის მისაღებად. საზღვარგარეთის ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს სამი ჯგუფი: 1.ხალხურ/საკრავთა ორკესტრი „საპოვნელა“ 2. ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „მრავალძალი“ 3. ქორეოგრაფიული ანსამბლი „თი-ემ-სი“.

- **05 02 01 03 ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულებაამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა** შესრულებულია 74 %-ით. გეგმიური 44,2 ათ.ლარი, ათვისებულია 32,5 ათ. ლარი.

სამხატვრო სკოლაში ირიცხება 85 მოსწავლე. სახვითი ხელოვნების ჯგუფებში 50 ბავშვია; ხოლო გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფებში 35.

სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა სახვითი ხელოვნების ყველა ჯგუფის მოსწავლეთა ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა, სადაც ძირითადად წარმოდგენილი იყო ფერწერული სახის ნამუშევრები. ასევე ჩატარდა ტრადიციული ,,შიდა საკლასო“გამოფენა.

სკოლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო თექის ჯგუფის სპეციალისტისა და მისი მოსწავლეების ნამუშევართა ერთობლივი გამოფენა.

- **05 02 01 04 ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ბიუჯეტი** შესრულებულია 75 %-ით. გეგმიური 29,7 ათ.ლარი, ათვისებულია 22,3 ათ. ლარი.

მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 875 ექსპონატი. 609 ექსპონატი სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ხოლო 266 - აბარის მხარეთმცოდნეობის

მუზეუმში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სახვითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზების რეექსპოზიცია.
- ✓ მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. (მთელი წლის განმავლობაში).
- ✓ საშობაო გამოფენა;
- ✓ საგაზაფხულო გამოფენა;
- ✓ თეატრალური - დეკორაციული მხატვრობა.

- **05 02 02 „კულტურის ღონისძიებები“ პროგრამის ბიუჯეტი** შესრულებულია 0 %-ით. გეგმიური 2,0 ათ.ლარი, ათვისებულია 0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთადაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

- **05 02 05 გაზეთის მომსახურების დაფინანსება** შესრულებულია 94 %-ით. გეგმიური 4,0 ათ.ლარი, ათვისებულია 3,7 ლარი.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გაზეთი „ამბროლაურის მოამბე“-ს ბეჭდვა.

- **05 02 06 ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი** შესრულებულია 58 %-ით. გეგმიური 86,8 ათ.ლარი, ათვისებულია 50,0 ათ. ლარი.

ტურისტული ცენტრის ორგანიზებით საანგარიშო პერიოდში მოხდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროების, კვებისა და განთავსების ობიექტების, ასევე ტურისტული ცენტრის წარმომადგენელთა დასწრება სხვადასხვა სახის ტრენინგებზე, რომელიც დაგეგმილი იყო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ. გამხორციელდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული საფეხმავლო ბილიკების შემოვლა-მონიტორინგი: მარკირებების, ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფების აღრიცხვა; ტურისტული სეზონის გააქტიურებასთან ერთად მოხდა არსებული ბილიკების წმენდა, მარკირებების განახლება; ტურისტული საფეხმავლო ბილიკების წმენდას სოციალური პროგრამით დასაქმებული ბენეფიციარები აქტიურად ახორციელებენ. ისინი პერიოდულად გვაწვდიან ბილიკებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციებს. ამბროლაურის ტურისტულმა ცენტრმა საანგარიშო პერიოდში 120 ვიზიტორს გაუწია საინფორმაციო მომსახურება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ცენტრში ვიზიტის გარდა, სატელეფონო თუ ონლაინ კავშირის მეშვეობით, აქტიურად ხდება ტურისტების მიერ ინფორმაციის მოთხოვნა და ცენტრის თანამშრომლები, უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფენ დაინტერესებულ პირთა ინფორმირებულობას.

- **05 03 „ახალგაზრდობის მხარდაჭერა“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 71 %-ით. გეგმიური 17,0 ათ.ლარი, ათვისებულია 12,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული უნიფორმების შეძენა და ჯილდოების გაცემა. განხორციელდა „სიცილის ლიგა“.

პრიორიტეტი - 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
შესრულებულია 54 %-ით. გეგმიური6 473,7 ათ.ლარი, ათვისებულია 256,1 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **06 01 ჯანმრთელობის დაცვა** შესრულებულია 40 %-ით. გეგმიური 195,7 ათ.ლარი, ათვისებულია 77,3 ათ. ლარი.

- **06 01 01 საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 84 %-ით. გეგმიური 49,5 ათ.ლარი, ათვისებულია 41,4 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაწესებულებაში შესულია 64 სასწრაფო შეტყობინების ბარათი ცხოველების მიერ დაკბენილებისა და დადორბლილების შესახებ, ყველა შეტყობინება გადეცა სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის რეგიონალურ სამმართველოს, დამკბენ ცხოველებზე 10 დღიანი მეთვალყურეობის დასამყარებლად, დაკბენილ პაციენტებს ჩაუტარდათ ვაქცინაციის სხვადასხვა კურსი, რისთვისაც ჯანდაცვის ცენტრმა გასცა შესაბამისი დოზა ანტირაბული ვაქცინა;

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებული იქნა შემდეგი ინფექციური დაავადებები: სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა - 12; ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია - 64; აივ შიდსზე ტესტირებული ორსულები -4;

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა პროფილაქტიკური აცრები

პერიოდულად საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ტარდება მონიტორინგი პროფილაქტიკური აცრების დროულად ჩატარების აუცილებლობაზე, ჰიგიენის წესების დაცვაზე.

- **06 01 03 ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობა** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 22 %-ით. გეგმიური 20,6 ათ.ლარი, ათვისებულია 4,6 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2025 წლის 3 თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 39 მოქალაქემ.

- **06 01 04 ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსება / თანადაფინანსება** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 25 %-ით. გეგმიური 55,0 ათ.ლარი, ათვისებულია 13,9 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2025 წლის სამი თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 42 მოქალაქემ.

- **06 01 06 ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 18 %-ით. გეგმიური 25,6 ათ.ლარი, ათვისებულია 4,7 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2025 წლის 3 თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 57 მოქალაქემ.

- **06 01 07 ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება** პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 28 %-ით. გეგმიური 45,0 ათ.ლარი, ათვისებულია 12,7 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2025 წლის სამი თვის განმავლობაში 49 მოქალაქეს გაეწია მომსახურება.

06 02 სოციალური დაცვა შესრულებულია 64 %-ით. გეგმიური 278,0 ათ.ლარი, ათვისებულია 178,7 ათ. ლარი.

პროგრამები:

- **06 02 01 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა** პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 36 %-ით. გეგმიური 9,0 ათ.ლარი, ათვისებულია 3,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2025 წლის სამი თვის განმავლობაში ყოველდღიური უფასო კვების პროგრამით ისარგებლა 13 ბენეფიციარმა;

- **06 02 02 ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება** პროგრამის ბიუჯეტიშესრულებული 79 %-ით. გეგმიური 12,0 ათ.ლარი, ათვისებულია 9,5 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2025 წლის სამი თვის განმავლობაში ახალშობილთა ერთჯერადი დაფინანსების პროგრამით ისარგებლა 15 ბენეფიციარმა; ახლადშექმნილი ოჯახების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია 2 ბენეფიციარს.

- **06 02 03 „მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 0 %-ით. გეგმიური 0,5 ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

- **06 02 04„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მდებარე დღის ცენტრის – „ბაო“ თანადაფინანსება“**პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 61 %-ით. გეგმიური 61,9 ათ.ლარი, ათვისებულია 38,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. 2025 წლის სამი თვის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 112 ბენეფიციარმა.

- **06 02 05„ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება“ პროგრამის ბიუჯეტი**შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 15,0 ათ.ლარი, ათვისებულია 15,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

- **06 02 06 სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება“** პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 97 %-ით. გეგმიური 64,0 ათ.ლარი, ათვისებულია 62,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება გაეწია 143 მრავალშვილიან ოჯახს.

- **06 02 07 მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება** შესრულებულია 88 %-ით. გეგმიური 18,0 ათ.ლარი, ათვისებულია 15,8 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება გაეწია 30 მარჩენალდაკარგულ ოჯახს.

- **06 02 08„უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა“**პროგრამის ბიუჯეტიშესრულებულია 18 %-ით. გეგმიური 74,0 ათ.ლარი, ათვისებულია 13,2 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მხრიდან, 18 ბენეფიციარია უზრუნველყოფილი ყოველთვიური ბინის ქირით.

- **06 02 09„მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 91 %-ით. გეგმიური 6,6 ათ.ლარი, ათვისებულია 6,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური. პროგრამის ფარგლებში 21 მარტოხელა მშობელს გაეწია ერთჯერადი დაფინანსება.

- **06 02 10„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება“**პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 100 %-ით. გეგმიური 5,0 ათ.ლარი, ათვისებულია 5,0 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.დაფინანსება გაეწია 40 ომის და სამხედრო ძალების ვეტერანს.

- **06 02 11„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება“** შესრულებულია 75 %-ით. გეგმიური 2,0 ათ. ლარი, ათვისებულია 1,5 ლარი. საანგარიშო პერიოდში ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა 5 ბენეფიციარზე.

- **06 02 13 ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის** ბიუჯეტი შესრულებულია 95 %-ით. გეგმიური 10,0 ათ. ლარი; ათვისებულია 9,5 ათ. ლარი.

პროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. 2025 წლის სამი თვის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწია სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ 16 ბავშვს, ხოლო მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ 1 ოჯახს.

ნაშთის ცვლილება:

ნაშთმა 2025 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგინა 247,3 ათ. ლარი.